საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ ,,კვირის პალიტრას”

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური  დაცვის სამინისტროს

მასმედიასთან და საზოგადეობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის

განცხადება

თქვენს მიერ გადმოგზავნილ ხელშეკრულების ასლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალურ პარტიონარად  წოდებული საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობა „სამართლიანობა-სოლიდარობის“  საქმიანობასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს აღნიშნული მოძრაობისთვის არ აქვს მინიჭებული პარტნიორი ორგანიზაციის სტატუსი, არ თანამშრომლობს მასთან და აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება იურიდიულად.  ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ინფორმაციის ნამდვილობას ეჭვქვეშ აყენებს იმ სამინისტროების სახელწოდებების არასწორი დასახელებაც, რომელთა პარტნიორად ასაღებს თავს აღნიშნული ორგანიზაცია.

აქვე მოგახსენებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აქვს საკუთარი მარეგულირებელი უწყება, რომელიც ფიზიკური და იურიდიული  პირების საქმინობის კონტროლს ახორციელებს სამინისტროს წესდების მიხედვით, კანონით დადგენილი ნორმების დაცვით, აღნიშნული პირებისგან ფინანსური სარგოს მიღების გარეშე.

სამინისტროს პარტნიორის სახელით ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა შესაბამის სამსახურს. საქმის შესწავლის შედეგად მოხდება რეაგირება და საჭირო ზომების მიღება.